ასრ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
და სტუდ. კონ-ა.

ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
11. 02. 2010 №_____16_____
(თბილისი)

სტუდენტთა მობილობის წესით
ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების და აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 10 თებერვლის №09 „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით გათვალისწინებული ვადების დადგენის შესახებ“ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გადასვლის წესით ჩარიცხვის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე 2010 წლის 16 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების ყველა საფეხურზე (ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გადასვლის წესით ჩარიცხვის მსურველთა განცხადებებისა და საჭირო თანდართული დოკუმენტაციის (დანართი 1,2) მიღება განხორციელდეს 2010 წლის 16 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით, ყოველდღე გარდა კვირისა, 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში (Iსართული, ოთახი 124).

3. განცხადებების არსებული წესის თანახმად რეგისტრაცია დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცელარიას (ე.ოხანაშვილი).

4. სტუდენტთა გადაყვანის წესით ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ბაზების ფორმირებისა და აკადემიური დატვირთვის განყოფილების უფროსს, ხათუნა მხეიძეს.

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებმა (ზ.გედენიძე, ა.აბშილავა, გ.არაბიძე, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) უზრუნველყონ მოტივირებული დასკვნების მომზადება სტუდენტების მიერ გავლილი უმაღლესი სასწავლო კურსების ცნობის შესახებ და ერთიანი საუნივერსიტეტო ფორმის შესაბამისად წარადგინონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტში 25 თებერვლის ჩათვლით.

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-5 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 1-ით.

7. ძალაში დარჩეს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის №90 ბრძანება.

8. 2009-2010 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და მისი წარდგენა საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად საჯარო სამართლის ირუდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა (ხ. მხეიძემ) არაუგვიანეს 2010 წლის 26 თბერვლისა .

9. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე,
ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი,
ი.ლომიძე

იურიდიული დეპარტამენის
უფროსი, ზ.მაისურაძე